



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 4
06/02/2019

4-06-4-201902061522



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და სხვა
ფონდებიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული
პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს სახელმწიფო
ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი
პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა
და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015
წლის 25 ნოემბრის №594 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტში 2019 წელს
განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა დანართი 2-
ის შესაბამისად. (თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ცაგერის რაიონული
სასამართლოში (მის: ქ. ცაგერის, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით
დადგენილი წესით.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

გ. გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო